სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის
2025 წლის 9 თვის ანგარიში
მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა - (30 05)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 05	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემისა და საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	**4 800.0**	**6 220.8**	**5 129.6**	**82.5%**	**349.3**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი ან/და დაზიანებული მოსამსახურეების მკურნალობა და მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაციისთვის საჭირო ღონისძიებები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო) მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 1 040 ბენეფიციარს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურება, მათ შორის, სამინისტროს 558 მოსამსახურეს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 57 თანამშრომელს და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ 425 მოსამსახურეს;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით განხორციელდა ბენეფიციართა (სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, მედიკამენტებით და სამედიცინო სახარჯი მასალით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო შემოწმება, კერძოდ: ექიმ-სპეციალისტთან განხორციელდა 37 293 ვიზიტი; სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 4 358 პაციენტს; ჩატარდა 2 677 ულტრაბგერითი დიაგნოსტირება; ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 2 923 პროცედურა; ფიზიოთერაპიულ კაბინეტში განხორციელდა 22 988 პროცედურა; რენტგენოლოგიის კაბინეტში - 8 822 პროცედურა; ჩატარდა 68 929 სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზი; საინექციო კაბინეტში განხორციელდა 592 პროცედურა; მასაჟის კაბინეტში ჩატარებულ იქნა 5 831 სამკურნალო პროცედურა; ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია გაიარა ახლად მისაღებმა 4 378 პირმა და 155 სამოქალაქო პირმა.